ისწავლე სახლში

3
კლასი

კითხვა

შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით – 2018-2024

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სერიის კონცეფცია

სერია დაეხმარება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს, **ისწავლონ ქართული ენა,** ანუ შეძლონ მშობლიურ ენაზე **გამართულად წერა და კითხვა**.
წიგნებში მოცემული აქტივობები **შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.**
კითხვის რვეულებში მოცემული მწყობრი სავარჯიშოების სისტემა ასწავლის პატარა მკითხველებს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმას, მასში მოცემული ინფორმაციის დახარისხებასა და ორგანიზებას, ტექსტის ძირითადი კომპონენტების გამორჩევასა და მათ შორის კავშირების დამყარებას, გაუმდიდრებს ლექსიკას. სერიაში შესული ნაწყვეტები მაღალმხატვრული საბავშვო ლიტერატურიდან პატარებს გემოვნებიან მკითხველებად გაზრდის, წერის აქტივობები კი მათ ნააზრევის სწორად გადმოცემაში დაეხმარება.

წიგნების სტრუქტურა

თითოეულ კლასში ტექსტები და სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლეთათვის საინტერესო თემების მიხედვით – იქნება ეს თავგადასავალი, წვეულება, საიდუმლო, სოფელი, წიგნის შერჩევა თუ სხვა. თემები ერთი კლასის ფარგლებში წერისა და კითხვის რვეულებში ერთმანეთს მიჰყვება, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო ღრმასა და საინტერესოს ხდის. თუმცა წერის ან კითხვის რვეულის გამოყენება ცალკეც შეიძლება, იმის მიხედვით, ამა თუ იმ მოსწავლეს რომელი მიმართულებით სჭირდება განვითარება.
თითოეული თემის ბოლოს არის შეფასების გრაფა, რომელშიც სამუშაოს კარგად შესრულებისთვის, წასახალისებლად შეგიძლიათ მოსწავლეს ვარსკვლავი, გული ან სხვა სახალისო ფორმა ჩაუხატოთ.

სერიის გამოყენება

სერიის სახელწოდებაც მიგვანიშნებს, რომ მოსწავლეებმა შინ უნდა იმუშაონ, რადგან საგაკვეთილო საათები ისედაც დატვირთულია. ეს ერთგვარად სკოლაში ნასწავლი მასალის განმტკიცება და კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების აღმოჩენაა.
პედაგოგებს შეუძლიათ სერიის კომპონენტები გამოიყენონ, როგორც საშინაო დავალების რვეულები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები; ხოლო მშობლებს, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ შვილების განათლებაზე, სახლის პირობებში მთელი კურსის წარმართვის საშუალება ეძლევათ. სავარჯიშოები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე დამოუკიდებლადაც გაართმევს თავს სწავლის პროცესს.

თინათინ კუხიანიძე
მარინა ბედოშვილი

ისწავლე სახლში
კითხვა
მე-3 კლასი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
თბილისი, 2018

რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ილუსტრატორი **ია მახათაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ISBN 978-9941-30-187-2

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

GEORGIAN 3
Reading

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

www.sulakauri.ge

სარჩევი

არდადეგების შემდეგ 4
იგავი 8
ლექსი 10
აღწერა 14
ვარაუდები 18
სიკეთე 22
სცენარი 26
დიორამა 28
დეტექტივი 30
როგორ? 32
დაბადების დღე 36
ცნობილი ადამიანი 38

არდადეგების შემდეგ

1 ალბათ ბევრჯერ გიოცნებია არდადეგებზე და სკოლაში გაკვეთილების გაცდენაზე და არასოდეს არ გიფიქრია, რომ მასწავლებელიც შეიძლება გახდეს ავად და მასაც დასჭირდეს დახმარება. მოსაბეზრებელი გრამატიკული წესებისა და აუტანელი განტოლებების ნაცვლად კი მასწავლებლისგან ისწავლო ნამდვილი გუფთისა და შვრიის ფაფის მომზადება...
გაეცანი ასტრიდ ლინდგრენის „ბულერბიელი ბავშვების“ სკოლას და შეავსე სახალისო ტესტი, რომ გაიგო უბეჯითესი მოსწავლე ხარ, თუ ბოსეს მსგავსად, შენც სკოლის დახურვაზე ოცნებობ.

სკოლაში

მე ლიზა მქვია. ლასე და ბოსე ჩემი ძმები არიან. ჩვენ სოფელ ბულერბიში ვცხოვრობთ. პაწაწინა სოფელია, სულ სამი სახლი დგას. შუა სახლი ჩვენია. მეორე სახლში ერთი ბიჭი ცხოვრობს – ულე. მესამეში – ორი გოგო: ბრიტა და ანა. მეტი ბავშვი ჩვენს სოფელში არაა. სულ ექვსნი ვართ: ლასე, ბოსე და მე, ულე, ბრიტა და ანა.

საზაფხულო არდადეგებისას სკოლა სულ მენატრება და სწავლის დაწყება მიხარია. ბოსეს კი ერთი ბეწოთიც არ უხარია. ამბობს, მეფეს უნდა მივწერო, სკოლები დაიხუროსო.

ძალიან მიყვარს ჩვენი სკოლა, მასწავლებლებიც, ბავშვებიც და სახელმძღვანელოებიც. ლასე და ბოსე კი სახელმძღვანელოებში ათას რაღაცას ხატავენ და შიგ ჟურნალებიდან ამოჭრილ ფოტოებს აკრავენ. მაგალითად, ლასემ გეოგრაფიის წიგნში ბრინჯის მთესველ ჩინელ გლეხებს შვედი ჰოკეისტების თავები მიაწება და განაცხადა ამით გეოგრაფია უფრო საინტერესო გახდაო.

ლასე, ბოსე, მე, ბრიტა, ანა და ულე ერთად დავდივართ სკოლაში. ჩვენი სკოლა მეზობელ დიდ სოფელშია. იქამდე დიდი გზაა და სახლიდან შვიდ საათზე გვიწევს გასვლა. მასწავლებელი სკოლის შენობაში, მეორე სართულზე ცხოვრობს და პიანინო და ბევრზე ბევრი წიგნი აქვს. ბავშვები ხშირად ვეხმარებით, ქვევიდან შეშა აგვაქვს. ის წიგნებს გვაძლევს წასაკითხად, ხანდახან კაკაოთიც გვიმასპინძლდება.

ერთხელ ჩვენი მასწავლებელი ავად გახდა და გაკვეთილები გაგვიცდა. ჩვენ გარდა, ყველამ იცოდა ეს ამბავი, იმიტომ, რომ დიდ სოფელში არის ტელეფონი, ბულერბიში კი – არა. სკოლაში რომ მივედით, კარი დაკეტილი დაგვხვდა. ავედით მაღლა და კარზე დავაკაკუნეთ.

– მობრძანდით! – დაგვიძახა მასწავლებელმა.

შევედით. მასწავლებელი ლოგინში იწვა, ძალიან ავად იყო და დახმარება გვთხოვა. ბიჭები მაშინვე შეშაზე გაიქცნენ, ბრიტამ ღუმელი გაახურა და ზედ ჩაიდანი შემოდგა. მე იატაკი მოვგავე. ანამ საუზმე მოამზადა და მასწავლებელს ლანგრით მიუტანა.

სადილად მასწავლებელმა გუფთა მოისურვა და გვკითხა, შეძლებთ გაკეთებას, თუ გეტყვით, რა როგორ უნდაო?

– ვეცდებით, – უპასუხა ბრიტამ, – ოღონდ არ ვიცი, რა გამოგვივა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ძალიან გემრიელი გუფთა გამოგვივიდა.

ნასადილევს ბრიტამ და ანამ ჭურჭელი დარეცხეს, მე კი გავამშრალე. ბიჭები ამ დროს წიგნებს კითხულობდნენ.

მასწავლებელს ვკითხეთ, ხვალაც თუ ავად იქნებით, შეიძლება კიდევ მოვიდეთ თქვენთანო? მასწავლებელს გაუხარდა, – თუ მოხვალთ, ბედნიერი ვიქნებიო.

მეორე დღეს რომ მივედით, საბრალო იწვა და შვრიის ფაფაზე ოცნებობდა. ისევ დავტრიალდით, ჯერ სარწეველაში გადავსვით და ლოგინი ავაბუმბულეთ. რომ დავაწვინეთ, შემოგვცინა, ნამდვილი პრინცესასავით ვწევარო; მერე შვრიის ფაფა მოვხარშეთ...

სამწუხაროდ, ერთი დღის შემდეგ მასწავლებელი გამოჯანმრთელდა, თორემ კიდევ რაიმე კერძის მომზადებას ვისწავლიდით.

2 გადაამოწმე, რამდენად ყურადღებით წაიკითხე ეს ნაწყვეტი? ტყუილია თუ მართალი, რომ

ინფორმაცია	+/–
პაწაწინა სოფლის მცხოვრები, ბულერბიელი ლიზა გვიამბობს თავისი სკოლის შესახებ.	
ამ სოფელში სულ შვიდი ბავშვი ცხოვრობს: ლასე, ბოსე, ლიზა, ულე, ბრიტა და ანა.	
ლასეს აზრით, თუ გეოგრაფიის წიგნში ბრინჯის მთესველ ჩინელ გლეხებს შვედი ჰოკეისტების თავებს მიაწებებ, გეოგრაფია ამით უფრო საინტერესო გახდება.	
პატარა სოფელში, ბულერბიში ყველას აქვს ტელეფონი.	
მასწავლებელი სკოლის შენობაში, მეორე სართულზე ცხოვრობს და პიანინო და ბევრზე ბევრი წიგნი აქვს.	
ერთხელ მასწავლებელი ავად გახდა და სკოლაში მისული ბულერბიელი ბავშვები მას დაეხმარნენ, ღუმელი დაუნთეს, ოთახი მიალაგეს და სადილად ნამდვილი გუფთა მოუმზადეს.	
მასწავლებლის ავადმყოფობისას პირველ დღეს ბავშვებმა ისწავლეს ნამდვილი გუფთის მომზადება, მეორე დღეს – შვრიის ფაფის, მესამე დღეს კი – სადღესასწაულო ტორტის.	
მასწავლებელს ძალიან მოეწონა ავადმყოფობა, თავი ნამდვილი პრინცესა ეგონა.	



3 როგორი მოსწავლე ხარ შენ? გიჭირს საკუთარ თავზე საუბარი? შეგიძლია შეავსო ეს სახალისო ტესტი.

სკოლაში შენ მოგწონს:

3 ყველაფერი – მასწავლებლებიც, ბავშვებიც, გაკვეთილებიც.
2 სწავლა კარგია, მაგრამ ბავშვებთან გართობა უკეთესია.
1 სკოლა ბავშვების სატანჯველადაა შექმნილი! ☐

საშინაო დავალებებად გიყვარს:

3 საინტერესო და გონებამახვილური სავარჯიშოები.
2 მარტივი და სწრაფად შესასრულებელი დავალებები.
1 საერთოდ, რა საჭიროა ეს საშინაო დავალებები? ☐

როგორ უვლი სასკოლო ნივთებს და სახელმძღვანელოებს?

3 წიგნებს ვაკრავ ფერად ქაღალდებს და ვუფრთხილდები ნივთებს.
2 უფროსების მითითებით ვაწესრიგებ ჩანთას და სახელმძღვანელოებს.
1 უცნაურია, ჩემს ჩანთაში ხშირად ვერ ვპოულობ წიგნებს, რომლებიც რატომღაც ძალიან ხშირად მრჩება შინ. ☐

ჩემთვის გაკვეთილის საუკეთესო ნაწილია:

3 როდესაც მასწავლებელი გვიხსნის ახალ, საინტერესო მასალას.
2 გაკვეთილის ჩაბარება და მასწავლებლის შექება.
1 ზარის ხმა და დიდი დასვენების დაწყება. ☐

4 დააჯამე ქულები და ნახე, რამდენად სწორი შეფასება მიიღე.

სულ: ☐

10-12 ქულა

საოცნებო მოსწავლე ხარ! ვის არ მოუნდება შენი მასწავლებლობა?!

6-8 ქულა

შეგიძლია გამორჩეული მოსწავლე იყო! თუმცა, მეტი მონდომება ნამდვილად არ გაწყენდა!

5-4 ქულა

იქნებ დროა, შეიცვალო აზრი სკოლაზე და დაუმეგობრდე მას? გახსოვდეს, ცოდნა ძალაა!

იგავი

1 ალბათ უკვე იცი, რომ იგავ-არაკი დამრიგებლური, ჭკუის სასწავლი პატარა ნაწარმოებია, სადაც ძალიან ხშირად მთავარი პერსონაჟები არიან: ძუნწი, ხარბი, შურიანი, უჭკუო, ზარმაცი, ტრაბახა ან ბოროტი ცხოველები თუ ადამიანები. იგავი ხშირად მთავრდება დარიგებით, შეგონებით, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ: მაგალითად, ძალა ერთობაშია!..

წაიკითხე ცნობილი მეიგავის, ეზოპეს იგავი, უპასუხე კითხვებს და მოიფიქრე, რა არის მისი მთავარი სათქმელი?

ძაღლი და ძვალი

– არიქა, ქურდი! – აყვირდა ყასაბი და გამოუდგა ყურშას, რომელმაც საყასბოდან გვარიანად დიდი ბარკალი მოიპარა.

– აჰ, ეს არამზადა! – დაედევნა გვერდითა საცხობიდან ძაღლს ხაბაზი.

– გვიშველე, არ გაუშვა! – ერთხმად სთხოვეს დახმარება ყასაბმა და ხაბაზმა ბაყალს, რომელმაც დახლს თავი ანება და ქურდს გამოენთო. მაგრამ ყურშამ არად ჩააგდო ისინი, ბაზრიდან მოკურცხლა და სამივე მდევარი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

მალე ყურშა მდინარის პირას ხიდს მიადგა. ის იყო ხიდზე გადასვლა დააპირა, რომ წყალში ჩაიხედა და რას ხედავს? წყლიდან სხვა ძაღლი შემოსცქერის, უფრო დიდი ბარკლით. ყურშამ ძაღლს დაუღრინა. იმანაც დაუღრინა. ყურშამ თათი მოუქნია. მეორე ძაღლმაც მოუქნია თათი. გაბრაზებულმა ყურშამ დაიყეფა და წყალში ისკუპა მეორე ძაღლისთვის ბარკლის წასართმევად, მაგრამ იქ არც ძაღლი დახვდა და არც – ძვალი.

ყურშა გვიანღა მოეგო გონს.

– სულელო ჩემო თავო, სიხარბემ ისე დამაბრმავა, საკუთარი ანარეკლიც ვერ ვიცანი. ახია ჩემზე! – ჩაიღრინა გაწბილებულმა და ტყისკენ წაჩანჩალდა.

ეზოპე

2 გადანომრე ქვემოთ მოცემული წინადადებები ისე, რა თანმიმდევრობითაც მოთხრობაში ხდება მოქმედება.

- ☐ წყლიდან ყურშას სხვა ძაღლი შემოსცქეროდა დიდი ძვლით.
- ☐ ყურშა მდევარს გაექცა და ხიდს მიადგა.
- ☐ გაბრაზებული ყასაბი, ხაბაზი და ბაყალი ყურშას დაედევნენ.
- ☐ წყალმა წაიღო ყურშას გემრიელი ძვალი.
- ☐ ერთხელ ყურშამ საყასბოდან დიდი ბარკალი მოიპარა.
- ☐ ყურშამ ძაღლისთვის ძვლის წართმევა მოინდომა და წყალში ისკუპა.

3 დააკავშირე ახალი სიტყვები და ფრაზები მნიშვნელობებთან.

ყასაბი	სურსათ-სანოვაგით მოვაჭრე
ხაბაზი	ხორცის გამყიდველი
ბაყალი	მეპურე
ნადავლი	აღელვებული გამოეკიდა
გამოენთო	ცარიელი დატოვა
პირში ჩალაგამოვლებული	ძალით მოპოვებული ქონება

4 შენი აზრით, რომელი ანდაზა არ მიესადაგება ამ იგავს?

ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.
ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგა.
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო.

5 რა ისწავლე მნიშვნელოვანი წაკითხულიდან?

_____

_____

ლექსი

1 იცი, რა განსხვავებაა ლექსსა და მოთხრობას შორის? ლექსი ხშირად სტროფებად იყოფა, მოთხრობა – აბზაცებად. ლექსში ძირითადად არის რითმა და რიტმი, მსგავსი დაბოლოების სიტყვები. მოთხრობის ენა ჩვეულებრივ მეტყველებას ჰგავს, ლექსის ენა უფრო მუსიკალურია, გადმოსცემს ავტორის ემოციას, განწყობას. თუმცა ლექსში მოთხრობის მსგავსად, შეიძლება იყოს გადმოცემული რაიმე ამბავიც, როგორც ეს ამ ლექსშია. წაიკითხე ის და შემდეგ რამდენიმე წინადადებით გადმოეცი მისი შინაარსი.

ზარგი

ჩააბარა ბაგაჟს ქალმა:
ჩემოდანი, ჩანთა, ჩალმა, ტახტი, ტაშტი, ტაბლა, რუკა
და სულ ერთი ციცქნა ცუგა.

ქალს გადასცეს რვა ქვითარი,
ისე, როგორც წესი არის
და ბაგაჟის ყველა ნივთი
ჩაიბარეს წონით, მითვლით:
ჩემოდანი, ჩანთა, ჩალმა, ტახტი, ტაშტი, ტაბლა, რუკა
და სულ ერთი ციცქნა ცუგა.

რომ შემოჰკრეს წასვლის ზარი,
გაქრა ცუგა, არსად არის.
ერთი ნივთი არსად არ ჩანს
დაურბინეს სწრაფად ბაქანს,
თან ითვლიან ჩუმად ბაგაჟს:
ჩემოდანი, ჩანთა, ჩალმა, ტახტი, ტაშტი, ტაბლა, რუკა
სად წავიდა ნეტავ ცუგა?

უცებ იქვე თვალი მოჰკრეს,
ძაღლი იწვა ვებერთელა.
შემოაბეს ყელზე თოკი
და შეაგდეს ბარგთან ხელად.
დასვეს იქვე, სადაც იყო:
ჩემოდანი, ჩანთა, ჩალმა, ტახტი, ტაშტი, ტაბლა, რუკა
და წუთის წინ – ციცქნა ცუგა.

რომ ჩავიდნენ სადგურს სუფსას,
ბარგი მიაქვს მებარგულსა:
ჩემოდანი, ჩანთა, ჩალმა, ტახტი, ტაშტი, ტაბლა, რუკა
ხოლო მებარგულის უკან –
განა ერთი ციცქნა ცუგა?!
ტოლი ვეება ავაზის
თოკით მოჰყავთ ნაგაზი.
ეს რომ ქალმა დაინახა,
შეაჩერა ავტოკარი:
– ქურდებო და ბაცაცებო,
ეს ხომ სულ სხვა ჯიშის არის!
მოისროლა ჩემოდანი,
ბრაზით გაჰკრა ტახტსაც ფეხი:
– მომიყვანეთ ჩემი ლეკვი!
დაგაყარეთ თავზე მეხი!

– რატომ ცხარობთ ასე, ლედი?
რატომ მოგდით ჩვენზე გული?
მაგ ქვითრების თანახმად ხომ
გვაქვს ბაგაჟი მიღებული:
ჩემოდანი, ჩანთა, ჩალმა, ტახტი, ტაშტი, ტაბლა, რუკა
და... სულ ერთი ციცქნა ცუგა.
მაგრამ გზაში –
რა ვქნათ ახლა –
თუკი ლეკვი იქცა ძაღლად!

სამუელ მარშაკის მიხედვით

2 გახაზე სწორი პასუხები.

ლექსის მიხედვით, სად ხდება მოქმედება –
სკვერში, მოედანზე, სადგურის ბაქანზე?

მთავარი პერსონაჟია მგზავრი ქალი, რომელიც მიემგზავრება –
სუფსაში, კუბაზე, ბაქოში.

ბარგის რაოდენობის მიხედვით ქალს გადასცეს:
7, 8, 12 ქვითარი.

ზარს რომ შემოჰკრეს, ბარგიდან გაქრა –
ტაბლა, რუკა, ციცქნა ცუგა.

ციცქნა ცუგა ჩაანაცვლეს – ვეება ნაგაზით, ავაზით.

მგზავრი ქალი არის – მშვიდი, წყნარი, ანჩხლი.

ლექსის ფინალია – სასაცილო, სამწუხარო.

3 დაასახელე:

ა. სამი რამ, რაც მოგეწონა ლექსში.

_____

_____

ბ. ორი რამ, რამაც გაგაოცა.

_____

_____

გ. ერთი რამ, რასაც გააკრიტიკებდი (რასაც არ გააკეთებდი).

4 გადმოეცი ეს ამბავი აღშფოთებული მგზავრი ქალბატონის მხრიდან. როგორ მოჰყვებოდა იგი? შეგიძლია, ავტორის მსგავსად, იუმორიც გამოიყენო.